ხელშეკრულება №სბ4/19

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 25 თებერვალი 2019 წელი

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი"(შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბორია ფირცხელიანის სახით, და შპს „ორისი", (შემდგომში- „მიმწოდებლი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

2. ხელშეკრულების საგანი

საბუღალტრო პროგრამა „ორის ბუღალტერიის" ერთადგილიანი, ერთვალუტიანი ვერსიის (A01S/U) განახლება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV48443000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 191,00 (ასოთხმოცდათერთმეტი ლარი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. მ.შ. დღგ-ს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.12ბ, V სართული.

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.2. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

4.2.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი.

6.3.კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი"-ს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი ნური ჯაფარიძე.

6.4. მიმწოდებელი ვადებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

6.მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

7.2.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე;

7.3.მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი"-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი რამაზ ღვინეფაძე.

8.ანგარიშსწორება

8.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში. ანგარშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

8.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდგომ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

8.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებლს თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

15. ფორსმაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

16.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი - „მიმწოდებელთან".

16.3. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1, რომელიც წარმოადგენს მის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი"

მისამართი: ქ. თბილისი, თიანეთის გზატკ. N37
ტელეფონი: 2687930
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 32090201, ანგ. №*200122900*
ს/კ: 209467851

დირექტორი,

ბორია ფირცხელიანი

მიმწოდებელი

შპს „ორისი"
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.12ბ, V სართ.
ტელეფონი: 238-43-43;238-39-94;238-39-96
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი",
ბ/კ: BAGAGE22,
ა/ა GE88BG0000000120121601
ს/კ: 206033754

დირექტორი,

დავით გოთოშია

Ltd ORIS

Digitally signed by Ltd ORIS
Date: 2019.02.25 18:01:53 +04'00'

საავტორო უფლება.

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები.

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“	შპს „ორისი”
მისამართი: ქ. თბილისი, თიანეთის გზატკ. N37	მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.12ბ, V სართ.
ტელეფონი: 2687930 , ს/კ: 209467851	ტელეფონი: 238-43-43;238-39-94;238-39-96
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“,
სახაზინო კოდი 32090201, ანგ. №200122900	ბ/კ: BAGAGE22, ა/ა GE88BG0000000120121601
	სკ-206033754
დირექტორი,	დირექტორი,
ბორია ფირცხელიანი ----------	დავით გოთოშია ----------

Ltd ORIS Digitally signed by Ltd ORIS
Date: 2019.02.25
17:10:14 +04'00'